

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 2 665,3 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 2 317,5 ათასი ლარის შემოსულობები, კვარტალური გეგმა შესრულებულია 87,0 პროცენტით, ამასთან გასული 2019 წლის პირველ კვარტალში მიღებულ შემოსულობებს აღემატება 54,6 ათასი ლარით. (2019 წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტს მიღებული ქონდა 2 262,9 ათასი ლარის შემოსულობები.

გადასახადებში მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 1556,0 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 1 263,9 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი დაუგეგმავად 9,1 ათასი ლარი ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 0,6 ათასი ლარი არის მიღებული ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 1556,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული გვაქვს 1 254,2 ათასი ლარი, გადასახადების კვარტლის გეგმა შესრულებულია 81,2%-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა 292,1 ათასი ლარი. გეგმის შეუსრულებლობის მიუხედავად 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით მიღებული გვაქვს 176,4 ათასი ლარით მეტი გადასახადები, გასული წლის პირველ კვარტალში მიღებული გვაქვს 1 087,5 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო 776.5 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულმა ტრანსფერმა ასევე შეადგინა 776.5 ათასი ლარი. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი მიღებულია 657,2 ლარი, მ.შ სამხედრო სამსახურის და საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის 35,1 ათასი ლარი, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის 622,1 ათ. ლარი, საქ. მთავრობის N 27 განკარგულებით. კაპიტალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 119,2 ათასი ლარი - საქ. მთავრობის N 2630 განკარგულებით.

სხვა შემოსავლების გეგმა პირველ კვარტალში განისაზღვრა 329,7 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 274,5 ათასი ლარის სხვა შემოსავლები და გეგმა შესრულებულია 83,2 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიღებული გვაქვს 294,0 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალი (2019 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 568,5 ათასი ლარი) , რაც ძირითადად გამოწვეულია

ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების კლებით.

აღსანიშნავია რომ გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით მეტი შემოსავალი შემოვიდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელში, სანებართვო და დასუფთავების მოსაკრებელში, ხოლო შემცირდა იჯარიდან მისაღები შემოსავლები და როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა საგრძნობლად შემცირდა ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები, კერძოდ პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული 305,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოვიდა მხოლოდ 217,6 ათ. ლარი, 71,3 %, ხოლო გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 315,2 ათასი ლარით ნაკლები. (2019 წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტში ჯარიმებიდან 532,8 ათასი ლარი იყო მიღებული)

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობები პირველ კვარტალში შემოსულია 2,4 ათასი ლარი მიწის გაყიდვიდან.

დასახელება	2020 წლის დაზუსტებული გეგმა			2020 წლის პირველი კვარტლის გეგმა			2020 წლის იანვრ- მარტის თვის შესრულება			პირველი კვარტლის გეგმის შესრ. %	წლიური გეგმის შესრ. %
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		
შემოსულობები	15 597,1	7 476,6	8 120,5	2 665,3	776,5	1 888,7	2 317,5	776,4	1 541,2	87,0	14,9
შემოსავლები	15 572,1	7 476,6	8 095,5	2 662,3	776,5	1 885,7	2 315,1	776,4	1 538,7	87,0	14,9
არაფინანსური აქტივების კლება	25,0	0,0	25,0	3,0	0,0	3,0	2,4	0,0	2,4	81,4	9,8
შემოსავლები	15 572,1	7 476,6	8 095,5	2 662,3	776,5	1 885,7	2 315,1	776,4	1 538,7	87,0	14,9
გადასახადები	6 698,9	0,0	6 698,9	1 556,0	0,0	1 556,0	1 263,9	0,0	1 263,873	81,2	18,9
საშემოსავლო გადასახადი	0,0		0,0	0,0		0,0	0,0		0,0		
ქონების გადასახადი	1 100,0	0,0	1 100,0	0,0	0,0	0,0	9,7	0,0	9,7		0,9
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	200,0		200,0	0,0			9,1		9,1		4,5
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	900,0	0,0	900,0	0,0	0,0	0,0	0,6	0,0	0,6		0,1
დამატებული ღირებულების გადასახადი	5 598,9		5 598,9	1 556,0		1 556,0	1 254,2		1 254,2	80,6	22,4
გრანტები	7 476,6	7 476,6	0,0	776,5	776,5	0,0	776,4	776,4	0,0	100,0	10,4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	762,1	762,1		657,3	657,3		657,2	657,2		100,0	86,2
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6 714,5	6 714,5	0,0	119,2	119,2	0,0	119,2	119,2	0,0	100,0	1,8

დასახელება	2020 წლის დაზუსტებული გეგმა			2020 წლის პირველი კვარტლის გეგმა			2020 წლის იანვრ- მარტის თვის შესრულება			პირველი კვარტლის გეგმის შესრ. %	წლიური გეგმის შესრ. %
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	5 824,5	5 824,5		119,2	119,2		119,2	119,2		100,0	2,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	890,0	890,0		0,0			0,0				0,0
გრანტები ცენტრალური სსიპ-ებიდან	0,0			0,0			0,0				####
სხვა შემოსავლები	1 396,6	0,0	1 396,6	329,7	0,0	329,7	274,5	0,0	274,8	83,2	19,7
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	50,0		50,0	1,3		1,3	13,3		13,3	#####	26,5
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	55,0		55,0	13,0		13,0	12,6		12,6	96,7	22,8
სანებართვო მოსაკრებელი	1,6		1,6	0,4		0,4	17,7		17,7	#####	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	40,0		40,0	10,0		10,0	13,4		13,4	133,7	33,4
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 250,0		1 250,0	305,0		305,0	217,6		217,6	71,3	17,4
არაფინანსური აქტივების კლება	25,0	0,0	25,0	3,0	0,0	3,0	2,4	0,0	2,4	81,4	9,8
მიწა	10,0		10,0	1,0		1,0	2,4		2,4	244,1	24,4

სულ მუნიციპალიტეტმა 2020 წლის პირველი კვარტლის საკუთარი შემოსულობების გეგმა (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) შეასრულა 81,6 % -ით, (გეგმა 1 888,7 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 1 541,2 ათასი ლარი), გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 29124,3 ათასი ლარით მნაკლები საკუთარი შემოსავალია მიღებული. (2019 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 1 665,5 ათასი ლარის საკ. შემოსავალი)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 4 934,7 ათასი ლარი,

ფაქტიურად გაწეულია 2 561,1 ათასი ლარი, ხარჯები დაფინანსებულია 51,9 %-ით. ხარჯების დაფინანსების წყაროდ გარდა შემოსულობებისა გამოყენებულია 2020 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთი 2 269,5 ათასი ლარი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გადასახდელების დაფინანსებაზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაწეულია 305,6 ათასი ლარით ნაკლები ხარჯი (2019 წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტს გაწეული აქვს 2 866,7 ათასი ლარის ხარჯი).

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ათვისებას, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაგეგმილი იყო 2 658,4 ათასი ლარის ხარჯების გაწევა, ფაქტიურად პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან ათვისებული იქნა 790,5 ათასი ლარი. აქედან, მიმდინარე წელს გამოყოფილი სახელმწიფო ფონდებიდან 260,1 ათასი ლარი, და გასული წლების სახელმწიფო ფონდების ნაშთებიდან 530,4 ათასი ლარი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფო ფონდებიდან ფაქტიურად დახარჯულია 332,2 ათასი ლარით ნაკლები, 2019 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ფონდებიდან ათვისებულია 1 122,7 ათასი ლარი.

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი			2020 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი			2020 წლის იანვრ-მარტის თვის შესრულება			კვარტალური გეგმის შესრულების პროცენტი	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	2 628,7	67,1	2 561,7	629,1	17,6	611,6	569,1	15,9	553,2	90,5	21,6
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11 311,6	9 613,6	1 698,0	2 680,7	2 306,5	374,2	633,7	546,7	87,0	23,6	5,6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	909,8	0,0	909,8	246,5	0,0	246,5	223,1	0,0	223,1	90,5	24,5
04 00	განათლება	2 764,3	1 184,3	1 580,0	683,6	311,9	371,7	554,2	210,0	344,1	81,1	20,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 563,5	249,8	1 313,7	335,8	2,3	333,5	285,3	0,0	285,3	84,9	18,2
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 039,9	75,3	964,6	359,0	20,0	339,0	295,7	17,9	277,8	82,4	28,4
	სულ	20 217,9	11 190,1	9 027,8	4 934,7	2 658,4	2 276,3	2 561,1	790,5	1 770,6	51,9	12,7

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებაზე - პროგრამული კოდი 01 00, დაგეგმილი 629,1 ათასი ლარიდან გაწეულია 569,1 ათასი ლარი, 90,5 %. გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 7,0 ათასი ლარით ნაკლები. 2019 წელს მმართველობაზე 576,4 ათასი ლარი იყო გაწეული. აქედან

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები დაგეგმილი 160,7 ათასი ლარიდან გაწეულია 156,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 97,0 პროცენტით.

მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 444,2 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 395,6 ათასი ლარი, ანუ 89,1 პროცენტით.

სამხედრო სამსახურის დაფინანსებაზე 20,4 ათასი ლარიდან გაწეულია 17,5 ათ. ლარი, აქედან საკუთარი სახსრებით მხოლოდ 1,6 ათასი ლარი და დანარჩენი 15,9 ათ. ლარი მიზნობრივი ტრანსფერით.

2020 წლის თვითმმართველობის სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანებით უკვე გამოყოფილი და გადანაწილებულია 26,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- 5,6 ათასი ლარი მიმართული იქნა შშმ პირთა დახმარებაზე -პროგრამული კოდი 06 03 03, სოფელ იგორეთში მცხოვრები ვანო ბოგვერადის შვილის გიგა ბოგვერადის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრებისათვის;

- 4,0 ათასი ლარი მიიმართა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარებაზე - პროგრამული კოდი 06 03 01), სოფელ ჩხერში მცხოვრები გიორგი კურტანიძისათვის სმენის აპარატის შესაძენად.

-17,2 ათასი ლარი ახალ კორონა ვირუსის „COVID -19“ გავრცელების აღკვეთის მიზნით ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო, მოქალაქეთა დასახმარებლად, მ. შ.

13,0 ათასი ლარი მიიმართოს ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე -პროგრამული კოდი 06 03 04, სოციალურად დაუცველი, უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეებისათვის პურისა და სურსათის შეძენა -დარიგებისათვის;

4,2 ათასი ლარი მიიმართოს ყოველთვიური დამარებაზე - პროგრამული კოდი 06 03 09, ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის დამატებით 100 ლარის გასაცემად სამი თვის განმავლობაში.

ინფრასტრუქტურის განვითარება - პროგრამული კოდი 02 00, 2020 წლის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 2 680,7 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 633,7ათასი ლარით, 23,6 პროცენტით, რაც გასული წლის პირველი კვარტლის შედეგებზე 457,8 ათასი ლარით ნაკლებია, გასულ წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებს პირველ

კვარტალში მოხმარდა 1 091,5 ათასი ლარი, აქედან:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და შენახვაზე დაგეგმილი 2 386,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 545,6 ათასი ლარი, წინა წელთან შედარებით 511,4 ათასი ლარით ნაკლები.

მათ შორის: გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დახარჯულია 416,9 ათასი ლარი, აქედან 379,8 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 37,1 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

გზების მიმდინარე შეკეთებაზე (გასწორხაზოვნება, თოვლის საფარისაგან გაწმენდა) 2,5 ათასი ლარი. აქედან 1,0 სახ. ფონდებით და 1,5 საკ. სახსრებით.

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეულია 125,2 ათასი ლარი, მათ შორის 119,0 სახ. ფონდების სახსრებით და 6,1 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად გაწეულია 1,0 ათასი ლარი.

სანიღვრე არხების მოწყობაზე სახ. ბიუჯეტის ფონდებით გაწეულია 21,2 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ობიექტების მსენებლობა, რეაბილიტაციაზე (პარკებისა და სკვერების მოწყობა) დაიხარჯა 12,6 ათასი ლარი სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით დაიხარჯა 14,0 ათასი ლარი, მ. შ. 13,6 ათ. ლარი სახ. ბიუჯეტის ფონდებით და 0,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა პროგრამული კოდი 03 00 დაგეგმილი 246,5 ათასი ლარიდან დაიხარჯა 223,1 ათასი ლარი, 90,5 %. მ. შ. ნარჩენების გატანაზე 186,1 ათასი ლარი და მწვანე ნარგავების მოვლაზე 37,0 ათასი ლარი.

განათლებაზე- პროგრამული კოდი 04 00 2020 წლის პირველ კვარტალში გათვალისწინებული 683,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 554,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 81,1 პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი გადაწესებულებების ფუნქციონირებაზე დახარჯულია 298,7 ათასი ლარი, სკოლა-ინტერნატის სუბსიდირებაზე – 18,5 ათასი ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 26,9 ათასი ლარი და სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფისათვის 210,0 ათასი ლარი სახ. ფონდებიდან.

სულ განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაწეულია 125,7 ათასი ლარით მეტი ხარჯი. გასული

წლის პირველ კვარტალში განათლებას მოხმარდა 428,5 ათასი ლარი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - პროგრამული კოდი 05 00
დაგეგმილი 335,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 285,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 84,9 პროცენტით, აქედან სპორტის განვითარებაზე 84,3 ათასი ლარი. მ. შ. სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 0.4 ათასი ლარი, ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 83,8 ათასი ლარი.

კულტურის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 201,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 188,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 94,39 პროცენტით, აქედან:

ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 28,2 ათასი ლარი, ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირებაზე 154,2 ათასი ლარი, ფოლკლორის ხელშეწყობაზე 5,2 ათასი ლარი და კულტურულ ღონისძიებებზე 1,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირებაზე 12,0 ათასი ლარი; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 0,5 ათასი ლარი.

გასულ წლის პირველ კვარტალთან შედარებით მიმდინარე წელს კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების სფეროს დაფინანსებას მოხმარდა 46,94 ათასი ლარით ნაკლები, გასული წლის პირველ კვარტალში აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 331,7 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე პროგრამული კოდი 06 00, პირველ კვარტალში დაგეგმილი 358,9 ათასი ლარიდან დაიხარჯა 295,7 ათასი ლარი და დაფინანსებულია 82,4 % - ით. აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 29,6 ათასი ლარი, მ. შ. 17,9 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 11,8 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

სოციალურ პროგრამებზე დაგეგმილი 326,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 266,1 ათასი ლარი, 81,5 პროცენტი. აქედან,

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაზე 88,0 ათასი ლარი; კოხლერული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარებაზე 2,0 ათასი ლარი; შშმ პირთა დახმარების პროგრამაზე 13,3 ათასი ლარი; ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე 13,3 ათასი ლარი; ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარებაზე 4,8 ათასი ლარი; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე 5,0 ათასი ლარი; მარტოხელა მშობლების დახმარებაზე 0,6 ათასი ლარი; მარჩენალდაკარგულთა დახმარებაზე 2,6 ათასი ლარი; ყოველთვიური დახმარების პროგრამაზე 9,2

ათასი ლარი; ხანდაზმულთა დახმარების პროგრამაზე 1,0 ათასი ლარი; სადღესასწაულო დღეების დახმარებაზე 5,4 ათასი ლარი; სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამაზე 1,7 ათასი ლარი; ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაზე 4,3 ათასი ლარი; სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარებაზე 92,6 ათასი ლარი; უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 22,4 ათასი ლარი.

გასულ წლის პირველ კვარტალთან შედარებით სოციალური პროგრამებზე გაწეული ფაქტიური ხარჯები გაზრდილია 121,3 ათასი ლარით, 2019 წლის პირველ კვარტალში სოციალურ პროგრამებზე დახარჯულია 144,8 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის პირველ კვარტალში გაწეული 2 561,1 ათასი ლარიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 556,7 ათასი ლარი, ხოლო 2004,4 ათასი ლარი ყველა დანარჩენ ხარჯებზე, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 422,5 ათასი ლარი ანუ ხარჯების 21,0 %; საქონელზე და მომსახურებაზე 346,2 ათასი ლარი ანუ 17,3 %; სუბსიდირებაზე 937,8 ათასი ლარი, 46,8 %, გრანტებზე 5,6 ათასი ლარი, 0,3 %, სოციალურ უზრუნველყოფაზე 160,6 ათასი ლარი, 8,1 % და სხვა ხარჯებზე 131,7 ათასი ლარი, 6,5 %.